საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №379

თბილისი „27“ 04 2017 წ.

აპლიკანტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი საფეხურების რეიტინგული ჩამონათვალის შეცვლის ვადის განსაზღვრის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 26 აპრილის N415395 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. აპლიკანტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი საფეხურების რეიტინგული ჩამონათვალის შეცვლის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 2 მაისის ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი